



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27213375

თარიღი:03/12/2021

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 05**

**03 დეკემბერი 2021წ.**

**ქ. თელავი**

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შექმნა და საკრებულოს ფრაქციების და უფრაქციო წევრების კომისიებში განაწილების პროპორციული კვოტების დადგენა, კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრა**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად

**მუხლი 1.** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას შემდეგი კომისიები:

1. სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია;
2. სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია;
3. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისია;
4. საფინანსო საბიუჯეტო კომისია;
5. ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია.

**მუხლი 2. 1.** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები განისაზღვროს საკრებულოში პოლიტიკური პარტიების მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობის შესაბამისად:

**ა) ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ - 44 კვოტა;**

**ბ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 32 კვოტა;**

**გ) უფრაქციო წევრი პარტიიდან „გახარია-საქართველოსთვის“ - 2 კვოტა**

2. საკრებულოს ფრაქციების წევრების და უფრაქციო წევრის განაწილება საკრებულოს კომისიებში განხორციელდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კვოტირების შესაბამისად.

**მუხლი 3.** საკრებულოს წევრთა რიცხოვნობიდან გამომდინარე საკრებულოს 3 მუდმივმოქმედი კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 16 საკრებულოს წევრით, ხოლო 2 კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს 15 საკრებულოს წევრით.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 5.** ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ნიკოლოზ მაისურაძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
უხუცესი წევრი, სხდომის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

